



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №104/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - თინათინ ჯაჯანიძე

საქმის ფაქტები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საერთო ახლობლის მეშვეობით გაიცნო ადვოკატი დ. ტ., რომლის ხელმძღვანელი იყო ადვოკატი ვ. ტ. კლიენტს ჰქონდა საოჯახო დავა ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე და აღნიშნული დავის მოგვარებისთვის საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ დ. ტ.-ს. კლიენტმა ადვოკატის სახელზე გააფორმა მინდობილობა 3 წლის ვადით და გადასცა საქმის მასალები. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ საქმის წარმოებისთვის 250 ლარი უნდა გადაეცა, კერძოდ, ის მხოლოდ დაეხმარებოდა კლიენტს მისი დედის დაბადების მოწმობის მიღებაში საჯარო რეესტრის მეშვეობით და „შემდეგ მიატოვებდა და არ გაუწევდა დახმარებას“. კლიენტის განცხადებით, მას არ გადაუცია ადვოკატისთვის 250 ლარი, რადგან მისთვის არ იყო მისაღები ეს პირობა და მის სახელზე გაფორმებული მინდობილობა გააუქმა. საჩივრის ავტორი მივიდა ადვოკატ დ. ტ.-ს ოფისში, სადაც დახვდა ადვოკატი ვ. ტ., რომელსაც აცნობა, რომ ადვოკატ დ. ტ.-ს მისთვის გადასაცემი ჰქონდა საქმის მასალები, რის შემდეგაც, ვ. ტ.-მ დ. ტ.-ს სამუშაო მაგიდიდან მისგან დაუკითხავად აიღო საქმის მასალები და გადასცა კლიენტს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. ტ.-ს ჰგონია, რომ მისი მაგიდიდან მასალები მან აიღო და არა ვ. ტ.-მ. კლიენტის განცხადებით, ვ. ტ.-მ მას არასრული სახით გადასცა დოკუმენტები, მათ შორის საქმის მასალებს აკლდა ერთი აზომვითი ნახაზი - 170 ლარის გადახდის ქვითართან ერთად, რომელიც ადვოკატმა დ. ტ.-მ უნდა დაუბრუნოს.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატ-კლიენტი საადვოკატო მომსახურების ფარგლებს განსაზღვრავენ შეთანხმების შესაბამისად. დადგინდა, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის ჩამოყალიბდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მათ შორის გაფორმდა მინდობილობა, ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუწია გარკვეული იურიდიული მომსახურება, თუმცა შემდგომ ვერ შეთანხმდნენ მომსახურების საგანზე და ანაზღაურების ოდენობაზე, რის შემდგომაც, მათ შორის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული ან მის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის დასრულებისთანავე, შეფერხების გარეშე დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები. ადვოკატის მიერ გადაცემული საქმის მასალების არასრული სახით კლიენტისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ მან კუთვნილი საქმის მასალები ადვოკატ დ. ტ.-სგან არ მიუღია, არამედ, ის მივიდა ადვოკატ დ. ტ.-ს ოფისში და სხვა ადვოკატმა - ვ. ტ.-მ დ. ტ.-ს სამუშაო მაგიდიდან, მისი ნებართვის გარეშე აიღო საქმის მასალები და გადასცა მას არასრული სახით - აკლდა აზომვითი ნახაზი, ქვითართან ერთად. ადვოკატი დ. ტ. ადასტურებს, რომ ის არ იმყოფებოდა ოფისში, როდესაც მასთან შეუთანხმებლად, მისი სამუშაო მაგიდიდან წაიღო საჩივრის ავტორმა თავისი კუთვნილი მასალები. მოცემულ

¹ <https://gba.ge/pdf/5ce29abebed89.pdf/104-18%20%20%20%20%2006.11.18%20%20%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf>

შემთხვევაში, საჩივრის ავტორს უშუალოდ ადვოკატთან შეთანხმებით, ადვოკატისგან არ მიუღია მისი საქმის მასალები. საჩივრიდან არ გამოიკვეთა კლიენტსა და ადვოკატს ჰქონდათ თუ არა ერთმანეთთან კომუნიკაცია საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების დაუბრუნებლობის ფაქტის დადასტურების თაობაზე.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა, რომ ადვოკატის მიმართ არ აღძრულიყო დისციპლინური დევნა.